

მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების თეორიული საკითხები

ფინანსები და საბანკო საქმე

ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები

ფინანსების ერთ - ერთ ქვაკუთხედს ფული წარმოადგენს. იგი გამოიყენება როგორც ღირებულების საზომი. იგი ასევე არის დაგროვების საშუალება. ფულის საშუალებით შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების ღირებულება გამოვხატოთ ერთ საზომში, ისევე როგორც შეგვიძლია მანძილი გავზომოთ კილომეტრებში და წონა კილოგრამებში. როგორც დაგროვების საშუალება შეიძლება იყოს მაგალითად აქციები, ობლიგაციები, უძრავი ქონება, ოქრო, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ. მათ შეიძლება უფრო მეტი შემოსავალიც მოუტანოს მის მფლობელს ვიდრე ფულმა, მაგრამ ფულს ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა გააჩნია სხვა დაგროვების საშუალებებთან შედარებით. ეს არის ლიკვიდურობა, ანუ ის სისწრაფე და სიმარტივე რომლითაც იგი (ერთი აქტივი) შეიძლება გარდაიქმნას გაცვლის საშუალებად. ფული ყველაზე ლიკვიდური საშუალებაა სხვა ნებისმიერ აქტივთან შედარებით.

ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მოძრაობენ საფონდო ბირჟებზე. წარმოებული ფასიანი ქაღალდები ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ და მათ უწოდებენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ღირებულებაც დამოკიდებულია სხვა აქტივების ღირებულებაზე, როგორცაა მაგალითად, აქციები, ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული შემოსავლით, უცხოური ვალუტა ან რაიმე სახის საქონელი. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დაბანდებული კაპიტალის რისკის ხარისხის მართვა. წარმოებული ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებული ტიპური სახეებია - წინასწარი კონტრაქტები, ფიუჩერსები და ოფციონები.

აღნიშნული ინსტრუმენტები ძირითადად საფონდო ბირჟის მეშვეობით მიმოიქცევა, რომელიც შეიძლება გავყოთ პირველად და მეორად ბაზრებად. ისინი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის *(განსაკუთრებით ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სფეროს)* უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები არიან. პირველადს

უწოდებენ ბაზარს, რომელზეც კორპორაცია და/ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახდენს ფასიანი ქაღალდების ემისიას, (ემიტენტი), ყიდის თავის ახლად გამოშვებულ ფასიან ქაღალდს–ობლიგაციას ან აქციას, პირველ (*საწყის*) მყიდველზე. მეორადი ბაზარი კი ისეთი ბაზარია, რომელზეც ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (*რომლებიც უკვე იყო ვინმეს მფლობელობაში*) ხელახლა იყიდება. შესაბამისად, პირველად ბაზარზე წარმოებს ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსება, რომლის ემიტენტებს წარმოადგენენ კორპორაციები და/ან ხელსუფლების ორგანოები. აქ ფასეულობათა შექმნას ახდენენ ინდივიდუალური ინვესტორები და საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, რომელთაგან აღსანიშნავია მსხვილი კორპორაციები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, კომერციული ბანკები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პირველადი ბაზარი, რომელსაც გააჩნია ფასიანი ქაღალდების განთავსების საკუთარი მეთოდები, წარმოადგენს დამოუკიდებელ და მეტად რთულ მექანიზმს. მაგრამ ამ მექანიზმს ბირჟის მსგავსად არ გააჩნია ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის განსაზღვრული ადგილმდებარეობა. პირველადი ბაზრის განმასხვავებელ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ის თავის სივრცეში ატარებს ახალი გამოშვების აქციებსა და ობლიგაციებს, რომლებიც შემდგომში ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით გადადიან საფონდო ბირჟაზე.

პირველადი და მეორადი ბაზრების გარდა ფინანსური ბაზრის კიდევ მრავალი სახეობა არსებობს. ერთ-ერთი მათგანის კლასიფიკაცია გამომდინარეობს ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადიდან ანუ განაღდების პერიოდიდან. განასხვავებენ ფულად და კაპიტალის ბაზარს. ფულადი ბაზარი (ფულის ბაზარი) ფინანსური ბაზრის ნაწილია, რომელზეც ვაჭრობენ მხოლოდ მოკლევადიანი სავალო ვალდებულებებით (ერთ წლამდე დაფარვის ვადით). კაპიტალის ბაზარი სავალო ვალდებულებათა ბაზარია დაფარვის ხანგრძლივი ვადით (ერთ წელზე მეტი). ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება ჩავთვალოთ ფულად ბაზრად, რომელზედაც მიმოიქცევა მოკლევადიანი სავალო ვალდებულებები, ძირითადად სახაზინო თამასუქების სახით. ფულადი ბაზარი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხაზინას ნაღდი ფულით, ხოლო კორპორაციებსა და ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ შემოსავალი დროებით თავისუფალი

ფულადი სახსრების მობილიზაციით. ფულადი ბაზრის ფასიანი ქაღალდები უფრო ფართოდაა გავრცელებული გრძელვადიან ფასიან ქაღალდებთან შედარებით, ამიტომ ისინი უფრო ლიკვიდურნი არიან. ფასების მერყეობა მოკლევადიან ფასიან ქაღალდებზე უფრო მცირეა, ვიდრე გრძელვადიანზე, ე.ი. მათში დაბანდებანი უფრო უსაფრთხოა. შედეგად ამისა, კორპორაციები და ბანკები აქტიურად მოქმედებენ ფულად ბაზარზე დროებით თავისუფალი სახსრებიდან პროცენტის (სარგებლის) მიღების მიზნით.

განვიხილოთ ფასიანი ქაღალდები, რომლებითაც ვაჭრობენ ფულად ბაზარზე. როგორც ვიცით, სავალო ინსტრუმენტები თავიანთი მოკლევადიანობის წყალობით ფასების მცირედ მერყეობას განიცდიან, ე.ი. ისინი ნაკლებად სარისკო დაბანდებებს წარმოადგენენ. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში აშშ-ში ფულად ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა. კერძოდ, დაბანდებათა მოცულობა ზოგიერთი სახის ფინანსური ინსტრუმენტში უფრო სწრაფად იზრდება სხვა სახის დაბანდებათა მოცულობასთან შედარებით.

ფულადი ბაზრის ერთ - ერთი საინტერესო ინსტრუმენტია სახაზინო თამასუქი (*Treasury bill*). იგი წარმოადგენს მთავრობის მოკლევადიან სავალო ვალდებულებას, რომელიც გამოიცემა 3, 6 და 12-თვიანი დაფარვის ვადით. მათი გამოშვების მიზანია ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. მათზე დაფარვის მომენტში გადაიხდება წინასწარ განსაზღვრული თანხა. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებიდან ყველაზე ლიკვიდურია სახაზინო თამასუქები, რადგანაც მათი მონაწილეობით უფრო ხშირად ტარდება ვაჭრობა, ამასთან დეფოლტის საშიშროების არ არსებობის გამო ისინი ყველაზე საიმედოა.

კაპიტალის ბაზრის ფასიანი ქაღალდები-აქციები და გრძელვადიანი ობლიგაციები ხშირად საფინანსო შუამავლებს ეკუთვნის, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიებს და საპენსიო ფონდებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მრავალი ფიზიკური და იურიდიული პირი საქმიანობს, რომლების ფინანსური შუამავლის ფუნქციებს ასრულებენ. ფინანსური შუამავლების მრავალფეროვნების ფონზე დგება მათი კლასიფიკაციის აუცილებლობა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს საკონტრაქტო- შემნახველი

დაწესებულებები. ისინი ისეთი ფინანსური შუამავლებია, რომლებიც რესურსებისაკუმულირებას (*დაგროვებას*), გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულების საფუძველზე ახერხებენ. მათ ზუსტად შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი მომავალი შემოსავლებისა და გადასახდელების მოცულობა. ამიტომ, აქტივების ლიკვიდობა მათთვის ისეთი კრიტიკული (*მნიშვნელოვანი*) არაა, როგორც ეს სადეპოზიტო-შემნახველ დაწესებულებებშია. შესაბამისად, მათი შესაძლებლობები გრძელვადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირების კუთხით მაღალია. უპირველეს ყოვლისა, საკონტრაქტო-შემნახველი დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები. სადაზღვევო კომპანიები-ფინანსური შუამავლებია, რომლებიც შინამეურნეობებისა და ფირმების რისკების ნაწილს თავისთავზე იღებს, მათთან გარკვეული ტიპის კონტრაქტის (კონტრაქტების) დადების მეშვეობით. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების ძირითადი ფუნქცია- ფირმებისთვის და საოჯახო მეურნეობებისათვის რისკის შემცირების შესაძლებლობების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, განსაკუთრებული ტიპის კონტრაქტის შექმნის საშუალებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ შუამავლებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ ტრანსაქციური დანახარჯები, რადგანაც მათ გააჩნიათ აღნიშნული დანახარჯების შემცირების გამოცდილება. გარდა ამისა, ფინანსური შუამავლების მიერ განხორციელებული გარიგებების მოცულობა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მასშტაბის ეკონომიის უპირატესობანი გარიგების ყოველ ლარზე. გარიგების ზომის (*მასშტაბის*) ზრდის შემთხვევაში შემცირდება ტრანსაქციური დანახარჯის ოდენობა. მაგალითად, ბანკმა იცის, როგორ იპოვოს კარგი იურისტი, რომელიც მას უზადო ხელშეკრულებას შეუდგენს, რომელსაც გამოიყენებს ყოველი ახალი კრედიტის გაცემისას, რაც საშუალებას მისცემს ბანკს ყოველი ცალკეული გარიგების იურიდიულად გაფორმებისას შეამციროს დანახარჯების ოდენობა.

ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია მასში შემავალი ინსტიტუციების მართვა და ზედამხედველობა, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ქრილში. განსაკუთრებული როლი მსოფლიო (*გლობალური*)

ფინანსური სისტემის რეგულირებაში ენიჭებათ რეგიონალურ და მსოფლიო ფინანსურ ორგანიზაციებს. დღეისათვის არსებობს რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა კომპეტენციაში შედის სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო ფინანსური პროცედურებისა და წესების კოორდინაცია. მათ შორის უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (*BIS–Bank for International Settlements*), რომლის შტაბ-ბინა განთავსებულია ქალაქ ბაზელში (*შვეიცარია*). მისი ამოცანა საბანკო წესების მაქსიმალური ერთგვაროვნების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

გარდა ამისა, ფუნქციონირებს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, ფინანსური აგრეგატების დახმარებით. ესენია საერთაშორისო სავალუტო (სსფ) (*მონეტარული*) ფონდი (*IMF–International Monetary Fund*) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, ანუ მსოფლიო ბანკი (*International Bank for Reconstruction and Development, World Bank*). სსფ-ი ყურადღებას აქცევს წევრ ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური პირობების ცვლილებას და საგადაამხდლო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, შეიმუშავებს საერთაშორისო ვაჭრობის და ფინანსური ოპერაციების წარმართვის წესებს, კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ მთავრობებს საერთაშორისო-საფინანსო ურთიერთობის პრობლემატიკაზე, ცალკეულ წევრ ქვეყნებს უზრუნველყოფს აუცილებელი სახსრებით და ა.შ.

მსოფლიო ბანკი აფინანსებს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში. იგი გასცემს სესხებს იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც პასუხობს მთელ რიგ კრიტერიუმებს და მიმართულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ორივე ზემოთ ნახსენები საერთაშორისო-საფინანსო დაწესებულების შტაბ-ბინამდებარეობს ქალაქ ვაშინგტონში (*აშშ*).

მსოფლიო ფინანსურმა სისტემამ განვითარების მრავალი ეტაპი გაიარა. მისი რეგულირების ერთ-ერთ ისტორიულ ფორმას დოლარის სტანდარტი ანუ ბრეტონ-ვუდის შეთანხმება წარმოადგენდა. იგი საერთაშორისო საფინანსო ცხოვრების

უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. მსოფლიო ფინანსური სისტემა დაფუძნებული იყო სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაზე, რომელმაც დააფიქსირა ის წესები, რომლებიც ყველასათვის სავალდებულო იყო.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით შექმნილი მსოფლიო საფინანსო სისტემა ემყარებოდა ოქრო-დევოზურ სტანდარტს, ე.ი. ზოგიერთი ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში გამოდიოდა, როგორც ოქროს ეკვივალენტი. ამიტომ ყველა ქვეყანას შეეძლო ასეთი სახის ვალუტა შეენახა, როგორც სავალუტო რეზერვი და კურსის მიხედვით ეწარმოებინა მისი კონვერტირება, რომელიც ფიქსირებული იყო საკუთარ ვალუტასთან შეფარდებაში.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია აშშ-ის ინიციატივით მოწვეული იქნა 1944 წლის 1 ივლისს და გაგრძელდა 22 ივლისამდე. იმის გამო, რომ ეს კონფერენცია მიმდინარეობდა მე-2 მსოფლიო ომის დროს, მასში ლოგიკურად დომინირებდა აშშ და დიდი ბრიტანეთი. ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა ჩამოყალიბდა როგორც დოლარის სტანდარტი, ხოლო მისი თავისებურებები გახლდათ:

1. დოლარი წარმოადგენდა სავალუტო ეტალონს. მონეტური ოქროს ფასი დოლარებში ფიქსირდებოდა და რჩებოდა ამ ეტალონთან უცვლელი.

2. კერძო პირებს არცერთი ეროვნული ვალუტა არ შეეძლოთ გაეცვალათ მონეტურ ოქროზე, მაშინ, როდესაც დოლარზე გაცვლა წარმოებდა სავალუტო კურსის შესაბამისად.

ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა მეოთხედი საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა და აღმავლობით მიჰყავდა მთავარი წევრი-ქვეყნების ეკონომიკა. მაგრამ იგი მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეირყა და დაიწყო მისი კოსმეტიკური შელამაზება-შეკეთება, რამაც სათანადო შედეგები ვერ გამოიღო, პირიქით, 1971 წელს იგი დაინგრა.

თანამედროვე ეპოქაში სავალუტო ურთიერთობანი გახდა არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულირების საგანი, არამედ ეროვნული მთავრობებისა და სახელმწიფოთა შორის ინსტიტუტების შეგნებული, მიზანმიმართული რეგულირების ობიექტი. ცენტრალური ბანკები აქტიურად

მონაწილეობენ ეროვნულ ვალუტათა კურსის შენარჩუნების ინტერნაციონალურ ღონისძიებებში.

საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად ვიდრე ეს ფიქსირებული კურსის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის ფიქსაცია, შესაბამისად არ ხდება ბანკის ჩარევა სავალუტო ბაზრის პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კურსის მკვეთრ ცვლილებას. საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი, რომელიც მიმოქცევაში 1995 წლიდან გავიდა, თავდაპირველად აშშ დოლარზე იყო მიბმული – ამის მიზეზი გახლდათ ქვეყანაში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი.

ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომლის მთავარი მიზანია სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ფულადი ერთეულის მსყიდველობით უნარის შენარჩუნება, ფულადი გადახდებისა და ანგარიშსწორებების ეფექტიანი სისტემის არსებობა, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირება. მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის, კრედიტების მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთების დონის ოპტიმალური ცვლილებების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს ფინანსური სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას,

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმის დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა იქნას შენარჩუნებული საშუალო ვადიან პერიოდში. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. საფონდო ბაზარი ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმია დამისი განვითარება, რაც მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება, ჯანსაღი ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. საფონდო ბაზარი ხელს უწყობს საინვესტიციო რესურსების გადანაწილებას უფრო შემოსავლიან და პერსპექტიულ სექტორებსა და საწარმოებში.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი მასობრივ ხასიათს ანიჭებს საინვესტიციო პროცესს, აძლევს რა ფასიანი ქაღალდების შეძენის შესაძლებლობას ინვესტორთა ფართო წრეს მათ შორის მათ, ვინც არ ფლობს მნიშვნელოვან საინვესტიციო რესურსებს. ამავდროულად, საფონდო ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ბარომეტრია. ძირითადი საბირჟო ინდექსების მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციას გვაწვდის ისეთი ინდექსები, როგორცაა „DJIA“, „S&P 500“ და ა.შ. ფაქტობრივად, საფონდო ინდექსები წარმოადგენს ეკონომიკის წინმსწრებ ინდიკატორებს და მას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლი ენიჭება.

საქართველოს საფონდო ბირჟას გააჩნია ინდექსი GSX, მაგრამ ის ნაკლებად ასახავს მთელი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას, ვინაიდან ბირჟაზე ქვეყნის მოწინავე კომპანიათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დაშვებული.

ფასიანი ქაღალდების კოტირება ხელსაყრელია როგორც ემიტენტების, ასევე ინვესტორებისათვის. სიტყვა „ლისტინგი“ პირდაპირი თარგმანით ჩამონათვალს ნიშნავს. საფონდო ბაზარზე კი ამ ტერმინში იგულისხმება ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები, რაც თავისი სანდოობით, ღიაობით, აუდიტებული ანგარიშგებით, მოცულობით, თავისუფალ მიმოქცევაში მყოფი აქციების დიდი ხვედრითი წონით და მრავალი სხვა კომპონენტით გამოირჩევა სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან.

ფასიანი ქაღალდი თავისი არსით წარმოადგენს მიმოქცევაში მყოფ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი (აქციები) თუ სასესხო (ობლიგაციები) ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით).

ფასიან ქაღალდებს ახასიათებს ფუნდამენტური თვისებები, რის გამოც ეს ინსტრუმენტი არის მოთხოვნადი და აქტუალური. ეს თვისებებია: მიმოქცევადობა, სტანდარტულობა, რეგულირება და სახელმწიფოს მხრიდან აღიარება, დოკუმენტურობა, ინფორმაციის საჯაროობა, შესრულების აუცილებლობა, საბაზრო თვისებები, ლიკვიდურობა, რისკი, შემოსავლიანობა. ლიკვიდურობა არის ფასიანი ქაღალდის უნარი სწრაფად გაიყიდოს და გადაიქცეს ფულად სახსრებად (მფლობელისათვის არსებითი დანაკარგების გარეშე). თუ ბაზარი უარს ამბობს აღიაროს ფასიანი ქაღალდით გამოხატული უფლებების რეალურობა, ლიკვიდურობა, მაშინ ის გადაიქცევა ქაღალდის ნაგლეჯად, რომელიც არაფერი ღირს. რისკების შემცირების კვალობაზე, რომელსაც ატარებს მოცემული ფასიანი ქაღალდი, იზრდება მისი ლიკვიდურობა და მცირდება შემოსავლიანობა.

რა თქმა უნდა, ეს წესი მჟღავნდება მხოლოდ გასაშუალებლისას, შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილზე, მაგრამ ის საშუალებას გვაძლევს, ავაგოთ ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო თვისებების ცვლილების სკალა, რომლის საფუძველზეც ინვესტორს შეუძლია ჩაატაროს საინვესტიციო ანალიზი კოორდინატების განსაზღვრულ სისტემაში. კონსერვატიული ინვესტორები საკუთარი პორტფელისათვის ძირითადად ობლიგაციებს აირჩევენ, აგრესიული ინვესტორები კი - აქციებს. განვმარტოთ აქციებისა და ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები.

აქციები (ფრ. action) კორპორაციის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებია, მათ მფლობელებს ქვს ყველა ქონებრივი და პირადი უფლება, დაკავშირებული აქციების ფლობასთან: ა) დივიდენდების მიღების უფლება, 2) მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება, გ) კორპორაციის ლიკვიდაციის შემდგომი ქონების ნაწილის მიღების უფლება. უფლებები რეალიზდება აქციების სიდიდის პროპორციულად. აქცია წილობრივი ფასიანი ქაღალდია, რომლის სახეობებია: ჩვეულებრივი აქციები, პრეფერენციები, სახელობითი აქციები და აქციები წარმომდგენზე, სადამფუძნებლო, კუმულაციური, კონვერტირებადი, ვინკულირებული, ბონუსური, ოქროს აქციები.

აქციონერული საზოგადოების ლიკვიდაციისას ჯერ დაიფარება დავალიანება მის მიერ გამოშვებული ობლიგაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფილია გირაოთი, შემდეგ გირაოთი არაუზრუნველყოფილი, პრივილეგირებული აქციების მიხედვით და მხოლოდ ამის შემდეგ - ჩვეულებრივ აქციებზე. შემოსავლის გადახდისას პროცენტი ობლიგაციებზე გადაიხდება იმისდა მიუხედავად, მიიღო საზოგადოებამ მოგება თუ არა (ბოლო შემთხვევაში - სარეზერვო ფონდის ხარჯზე).

ობლიგაცია (bond) არის გრძელვადიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვით ინვესტორს პერიოდულად უხდიან წინასწარ განსაზღვრულ საპროცენტო სარგებელს, სანამ არ იქნება სრულად განაღდებული ემიტენტის მიერ. საკუპონე საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) არის ობლიგაციაზე დაპირებული პროცენტი. თუმცა, ბაზარზე რეალურად შესაძლოა ჩამოყალიბდეს განსხვავებული საპროცენტო განაკვეთი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მსჯელობა დისკაუნტ-ობლიგაციებსა და პრემიუმ-ობლიგაციებზე, რაც ეფუძნება გარემოებას, რომ ზოგადად, გრძელვადიანი ვალდებულებებისთვის დამახასიათებელია საპროცენტო რისკი, რომელიც შეიძლება განიცადონ ინვესტორებმა და ემიტენტებმა. საპროცენტო რისკს გასწევს ინვესტორი, რომელმაც განათავსა სახსრები გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული პროცენტით, ამ ფიქსირებულ პროცენტთან შედარებით, საშუალო საბაზრო პროცენტის ზრდისას (ინვესტორს შეეძლო მიეღო შემოსავლის ნაზარდი პროცენტის გაზრდის ხარჯზე, მაგრამ არ შეუძლია გამოათავისუფლოს თავისი სახსრები, განათავსებული აღნიშნული პირობით). საპროცენტო რისკს გასწევს ემიტენტი, რომელიც უშვებს გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს ფიქსირებული პროცენტებით, საშუალო საბაზრო პროცენტის მიმდინარე შემცირებისას

ფიქსირებულ დონესთან შედარებით (ემიტენტს შეეძლო მოეზიდა სახსრები ბაზრიდან უფრო დაბალი პროცენტით, მაგრამ მან უკვე გამოუშვა ფასიანი ქაღალდები). ზოგიერთ ობლიგაციაზე არ იხდიან საკუპონე გადასახდელს, მაგრამ მისი შეთავაზება ხდება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით (დისკაუნტით). ამ ობლიგაციებს ზერო ობლიგაციები ეწოდება.

ფასიან ქაღალდებში განთავსების რისკიანობის ხარისხის შესადარებლად შეიძლება ფასიანი ქაღალდების რეიტინგული ანალიზის გამოყენება. რეიტინგი არის განსხვავებული სავალო ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების, სადეპოზიტო სერტიფიკატების, კომერციული ქაღალდების, აგრეთვე პრივილეგირებული აქციების) საკრედიტო რისკის შედარებითი შეფასება. ასეთი ანალიზი ჩვეულებრივ ხორციელდება დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოების მიერ. საკრედიტო რისკის დონის მიხედვით და რეიტინგის შესაბამისად, ყველა ფასიანი ქაღალდი იყოფა საინვესტიციო ან სპეკულაციური ხასიათის ქაღალდად.

სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება მხოლოდ სასესხო ფასიანი ქაღალდები. საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია რეგულირდება კანონით სახელმწიფო ვალის შესახებ. კერძო კომპანიათა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა კი რეგულირდება კანონით - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. დღემდე ეს სფეროები გამიჯნული იყო ერთმანეთისგან. საინტერესოა, რომ 2007-2008წწ. დაკნინდა საფონდო ბაზრის როლი, საკანონმდებლო ნორმებით არამიმზიდველი გახდა საფონდო აქტივობა, NASDAQ OMX-ს უარი ეთქვა საქართველოში დამკვიდრებაზე, ამასთან საჯარო, ბირჟაზე მყოფი აქცია შეიძლება ბირჟის გარეშე დაფიქსირებით (ე.წ. „ფიქსინგით“) გასხვისდეს, რასაც საერთო არაფერი აქვს საბაზრო ფასწარმოქმნასთან. მაშინ როდესაც, ბოლო პერიოდში, გავრცელდა მოსაზრება, რომ საბანკო დაკრედიტებასთან შედარებით ფასიანი ქაღალდების ბაზრის უპირატესობას გარიგებათა განხორციელების მაღალ სისწრაფესთან ერთად, სამართლიანი ფასებიც წარმოადგენს.

აწმყოში, ინტერნეტ-ტრეიდინგის ფართოდ დანერგვის პირობებში, ბროკერების კლიენტებს (იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) უფლება აქვთ დამოუკიდებლად გააკეთონ ელექტრონული ქსელით განაცხადები ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე და განახორციელონ ეს გარიგებები ბირჟაზე. მაგრამ, ეს შესაძლებელია

მხოლოდ ხელშეკრულების არსებობისას, დადებული კლიენტებსა და საბროკერო კომპანიას შორის, იმ თანხის ფარგლებში, რაც არის კლიენტის ანგარიშზე.

საფონდო ბირჟას არ შეუძლია შეათავსოს თავისი საქმიანობა დეპოზიტარულ საქმიანობასთან. საფონდო ბირჟის დეპოზიტარული მომსახურება უნდა განახორციელოს დეპოზიტარმა (სხვა იურიდიულმა პირმა) მასთან ხელშეკრულების საფუძველზე.

საფონდო ბირჟების უმეტესობა არსებობდა და არსებობს დღესაც არაკომერციული (არამომგებიანი) ორგანიზაციის ფორმით. შესაბამისად, ისინი არ იბეგრება სახელმწიფოს მიერ.

კომერციული ბირჟების აღმოცენება დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის კომპიუტერიზაციის პროცესთან. შევნიშნავთ, რომ ლიცენზიის მიღება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის მიერ აუცილებელი პირობაა ბირჟაზე წევრობისათვის განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში. ეს დამახასიათებელია საფონდო ბირჟებისათვის: ნიუ-იორკის (აშშ), ლონდონის (დიდი ბრიტანეთი), ტოკიოს (იაპონია), მაინის ფრანკფურტის (გფრ). ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ნორმები განსაზღვრავს მოთხოვნებს ბირჟის თანამშრომელთა კვალიფიკაციისადმი, მათი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სიდიდისადმი, არეგულირებს საბირჟო ვაჭრობაში ფიზიკური და იურიდიული პირების, რეზიდენტების და არარეზიდენტების მონაწილეობას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურაში იგულისხმება იმ ინსტიტუტების და სისტემების ერთობლიობა, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს ხელს უწყობს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გარიგების დადებისას რისკების შემცირებაში (მათ შორის, საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტორი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საინფორმაციო, სარეიტინგო და კონსალტინგური კომპანიები).

საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს. ამ კუთხით ეროვნული ბანკი აქტიურად მონაწილეობს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევისას წარმოშობილ სხვადასხვა ურთიერთობაში, რაც მოიცავს ემისიის პროსპექტის დამტკიცებას, ბაზრის მონაწილეების ლიცენზირებას (ან ლიცენზიის გაუქმებას), ფასიანი ქაღალდების

მიმოქცევის სფეროში სხვადასხვა ტიპის დარღვევის გამოვლენას და მათი აღკვეთისათვის სათანადო ზომების გატარებას.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ ემისიის პროსპექტის საფუძველზე. ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტი არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს ემიტენტზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფასიანი ქაღალდების მომავალ გამოშვებაზე.

პირველად განთავსებას (IPO) ადგილი აქვს სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას, როცა კომპანია პირველად უშვებს თავის ფასიან ქაღალდებს ბაზარზე, კომერციული ორგანიზაცია განთავსებს ფასიანი ქაღალდის რომელიღაც ახალ სახეობას, რომელიც ადრე არ გამოუშვია. მეორადი განთავსება (დამატებითი ემისიისა - Secondary Public Offering - SPO) კი არაკომერციული ორგანიზაციის ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის განმეორებითი და ყველა სხვა გამოშვებაა.

არასაჯარო (კერძო) განთავსება არის განთავსება საჯარო გამოცხადების, ფასიანი ქაღალდების პროსპექტის პუბლიკაციისა და რეგისტრაციის გარეშე, წინასწარ ცნობილ, ინვესტორთა შეზღუდულ წრეში.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაში ხშირად მონაწილეობენ ანდერრაიტერები, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ ემიტენტებს, დააწესონ ისეთი ფასი, რათა აღმოცენდეს აქციების ლიკვიდური მეორადი ბაზარი. ფასის დაწესება, რომელიც შემდგომში შეიძლება გაიზარდოს, ასტიმულირებს ინვესტორთა ინტერესს აქციებისადმი. საზღვრგარეთის ბაზრებზე აქციების ფასების დაცემისას მათი განთავსების შემდეგ, დიდია ალბათობა სარჩელების წარდგენისა ემიტენტისათვის იმ ზარალისათვის, რაც ინვესტორებმა გაწიეს აქციების პროსპექტში ინფორმაციის არასაკმარის გახსნასთან დაკავშირებით კომპანიაში ინვესტირების რისკებთან მიმართებით.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ტრადიციული ანდერრაიტინგისას ანდერრაიტერი მთელ ბაზარს აჩვენებს საკუთარ დარწმუნებულობას შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ხარისხისადმი, IPO-ს შედეგებისადმი, რაც ემისიას ერთგვარ „ხარისხის ნიშანს“ ანიჭებს.

2018 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა (GSSS) დანერგა, რომელიც ქვეყნის ფინანსური სისტემის

მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, დაფარვა და დაგირავება.

სისტემა, რომელიც თავის თავში ორ ცენტრალურ დეპოზიტარს აერთიანებს, ემსახურება მთელ კაპიტალის ბაზარს. GSSS წარმოადგენს თვისებრივად უნიკალურ სისტემას, ის უზრუნველყოფს კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ოპერირებას ერთიან მაღალტექნოლოგიურ პლატფორმაზე. GSSS სისტემა უმცირესი დანახარჯებით აღწევს კაპიტალის ბაზრის სრულ ინტეგრაციას, მაქსიმალურ უსაფრთხოებას, ინვესტორთა ნდობას.

ლარით დენომინირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება სულ უფრო მიმზიდველი ხდება, როგორც ქვეყანაში მოქმედი კომპანიებისათვის, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვისაც, მაგალითად, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) გამოუშვა და ანგარიშსწორება განხორციელდა GSSS სისტემის მეშვეობით, ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ეროვნული ბანკი ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორია, ხოლო საქართველოს ფასიანი ქაღალდებიც ცენტრალური დეპოზიტარი (GSCD) კი ამ ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარი.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის ამ ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, რომელიც აწარმოებს ემიტენტისათვის მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრს. მისგან განსხვავებით, ცენტრალური დეპოზიტარი ინვესტორთა ჭრილით ასახავს მათ კუთვნილ ფასიან ქაღალდებს. დეპოზიტარი აწარმოებს ანგარიშებს, სადაც აღირიცხება ელექტრონული ფასიანი ქაღალდები, გადაცემული მისთვის კლიენტის მიერ შესანახად. შენახვა ხორციელდება ინვესტორების ინდივიდუალურ დეპო ანგარიშებზე. დეპოზიტარის მეშვეობით ხორციელდება კლირინგი და ანგარიშსწორება ფასიანი ქაღალდებით. მფლობელის შეცვლისას ფასიანი ქაღალდი იხსნება წინა მფლობელის „დეპო“ ანგარიშიდან და ირიცხება ახალი მფლობელის ანგარიშზე.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის და სახელმწიფოს როლი ამ მხრივ ყველაზე თვალნათლივ წარმოჩინდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე. ამის კარგი მაგალითია აშშ-ისა და გერმანიის ფედერალური მთავრობის

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი ფუნქციონირება. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები მაღალი სანდოობით, ლიკვიდურობით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის აუცილებლობა დგება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისას, რომლის დაფინანსების არაინფლაციურ წყაროს წარმოადგენს. საქართველოში სახაზინო ვალდებულებების ემისია დაიწყო 1997წ. (ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ერთ წლამდე ვადიანობის დისკონტური ფასიანი ქაღალდი). გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით, რაც მრავალი ფასის მეთოდით ტარდება (განაცხადები კმაყოფილდება დაბალი საპროცენტო განაკვეთებიდან მაღლისკენ). კონკურენტული განაცხადის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50000 ლარს. არაკონკურენტული განაცხადის (წვრილი ინვესტორებისთვის) სიდიდეა 1000 ლარიდან (ერთი ფასიანი ქაღალდის ღირებულება) 20000 ლარამდე. მას კონკურენტულთან შედარებით მინიჭებული აქვს პრიორიტეტი.

2006 წლიდან დაიწყო სახაზინო ობლიგაციების ემისია (ვადიანობა შეადგენს 2,5,10 წელს). სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეუცვლელი ინსტრუმენტია ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარებისათვის. სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს, სხვა მიზანთა შორის, გამოირჩევა: ქვეყანაში ფულადი მასის რეგულირება, ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარება, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის სტიმულირება და მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობის ხელშეწყობა.

საჯარო ფინანსები

საქართველო საბიუჯეტო კოდექსის თანახმად:

მუხლი 4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები

1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ბ) **გამჭვირვალობა** – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ

ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

მუხლი 8. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 9. პროგრამული ბიუჯეტი

3. პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 10. ბიუჯეტის შემოსულობები

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ა) შემოსავლები;
- ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

მუხლი 11. ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ა) ხარჯები;
- ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

მუხლი 12. ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი

1. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო.
2. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანისა – ბიუჯეტის დეფიციტი.

მუხლი 13. ასიგნებები ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში

1. საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, უფლებამოსილია მხარჯავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა.
2. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა).

მუხლი 19. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის შესრულებისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შემოწმება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას).

მუხლი 21. სესხის აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილება

1. სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

მუხლი 27. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდეზად მოიცავს:

- ა) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- ბ) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- გ) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს;
- დ) საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს;
- ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს;
- ვ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;
- ზ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემ ტრანსფერებს).

მუხლი 28. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები

1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი. ამ, ორივე სარეზერვო ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 1%-ს).

4. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

მუხლი 32. საგანგებო ბიუჯეტი

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

მუხლი 33. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესის კოორდინირება

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 39. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

8. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევსა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მიიღება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

დეფიციტის დაფინანსება

ლერნერის მოსაზრება:

“წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობა ფულს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისაგან სესხულობს - ვალდებულება შიდა ვალის სახელწოდებითაა ცნობილი. ლერნერის [1948] თანახმად, შიდა ვალი არ წარმოქმნის ტვირთს მომავალი თაობებისათვის. მომავალი თაობის წარმომადგენლებს უბრალოდ ერთმანეთის მიმართ ექნებათ დავალიანება. ვალის გადახდის დროს განხორციელდება შემოსავლის ტრანსფერი მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან (რომელიც არ ფლობს ობლიგაციებს) მეორე ჯგუფში (რომელიც ობლიგაციების მფლობელია). მიუხედავად ამისა, არ უარესდება მომავალი თაობის, როგორც მთლიანი საზოგადოებრივი ფენის, მატერიალური მდგომარეობა - მისი მოხმარების დონე ზუსტად იგივე იქნება, რაც უნდა ყოფილიყო”.

კორპორაციათა ფინანსები

ბიზნესის განსახორციელებლად კორპორაციას სჭირდება ძირითადი აქტივი, რომელიც შეიძლება დააფინანსოს გაყიდვებიდან მიღებული ფულადი შემოსავლებით, ბანკებიდან და კერძო პირებისგან აღებული სესხებით, აქციების გამოშვებით, ან საკუთარი დანაზოგების გამოყენებით. ძირითად აქტივებს კორპორაცია იყენებს გაყიდვების ან შემოსავლების გასაზრდელად. ფინანსური აქტივი წარმოადგენს თანხობრივ პრეტენზიას ძირითადი აქტივის მიმართ და ამიტომ მოიცავს ისეთ აქტივებს, როგორებიცაა - ფული, სავაჭრო მოთხოვნები, აქციები და ობლიგაციები. ფინანსური აქტივები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ძირითადი აქტივების შესაძენად. მაგალითად, კორპორაციამ აიღო საბანკო სესხი. ბანკი კორპორაციას უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით ფინანსური აქტივის სანაცვლოდ, რომელიც წარმოადგენს კორპორაციისგარანტიას სესხისა დაპროცენტის

დაფარვის დროს. ჩვეულებრივი საბანკო სესხი არ არის უსაფრთხო, რადგან მას ბანკი ფლობს და ფინანსურ ბაზრებზე არ ხდება გაყიდვა ან გარიგება. სესხს აქვს თავისი უპირატესობები, მაგრამ გაზრდილმა დავალიანებამ შეიძლება კორპორაცია გაკოტრებამდე მიიყვანოს. ასევე, განვიხილოთ კორპორაციული ობლიგაციები, როგორც დაფინანსების მაგალითი. კორპორაცია ყიდის ობლიგაციებს ინვესტორებზე პროცენტის გადახდის და მისი ვადის ამოწურვის შემთხვევაში დაფარვის პირობით. ზემოაღნიშნული გვთავაზობს შემდეგ განმარტებებს:

საინვესტიციო გადაწყვეტილება = უძრავი ქონების შექმნა

დაფინანსების გადაწყვეტილება = ფინანსური აქტივების გაყიდვა

საინვესტიციო გადაწყვეტილებები კომპანიის ღირებულების შექმნის და ზრდის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება იწყება კომპანიისათვის აუცილებელი აქტივების განსაზღვრით. საინვესტიციო გადაწყვეტილება, ასევე გულისხმობს უკვე არსებული აქტივების მართვას და გადაწყვეტილების მიღებას, თუ როდის უნდა გაყიდოს და როგორ განკარგოს აქტივები, თუ მოგება შემცირდება. კორპორაციამ ასევე უნდა მართოს და აკონტროლოს საინვესტიციო რისკები. ფინანსური მენეჯერის საქმიანობა უშუალოდ აისახება კომპანიის აქტივების რაოდენობასა და სტრუქტურაზე. მაგალითად, მან უნდა გადაწყვიტოს აქტივების რა ნაწილი უნდა იქნეს წარმოდგენილი ფულადი სახსრების და სასაქონლო-მატერიალური მარაგების სახით.

ამასთან, არ შეიძლება ინვესტიციების მეორე მხარის - კაპიტალდაბანდებების ამოღების იგნორირებაც. აქტივები, რომელთა გამოყენებაც ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის შეიძლება შემცირდეს, შეიცვალოს ან/და ლიკვიდირებული იქნეს.

ამასთან, კორპორაციებს ასევე უნდა ჰქონდეთ ინვესტიცია არამატერიალურ აქტივებში. ეს მოიცავს კვლევას, განვითარებას, რეკლამას და მარკეტინგს. მაგალითად, კომპანიები ყოველწლიურად მილიარდობით ინვესტირებას ახდენენ ახალი პროდუქციის შექმნისათვის. ეს კომპანიები, ასევე ინვესტირებას ახდენენ არსებული პროდუქციის ბაზარზე. მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ინვესტირება წარმოქმნის მომავალ შემოსავალს და როგორც წესი, უნდა უზრუნველყოს მინიმუმ ადეკვატური მოგება ამ ინვესტიციიდან. რაც უფრო

გრძელვადიანია ინვესტირება, მით უფრო მეტი მოგებაა საჭირო. ამრიგად, ფინანსურმა მენეჯერმა ყურადღება უნდა მიაქციოს პროექტის ანაზღაურების ვადებს და არა მხოლოდ მათ კუმულაციურ თანხას. გარდა ამისა, ეს ანაზღაურება იშვიათად არის გარკვეული. ახალი პროექტი შეიძლება იყოს წარუმატებელი და გამოიწვიოსზარალი. ზოგიერთ ინვესტიციას მხოლოდ მოკლევადიანი შედეგები აქვს. ფინანსური მენეჯერები მსხვილსაინვესტიციო გადაწყვეტილებებს არ იღებენ დამოუკიდებლად და განიხილავენ რამდენიმე მმართველობით დონეზე. მაგალითად, თუ შეთავაზება ეხებაკომპანიის წარმოების სფეროს, მათ შეუძლიათ იმუშაონ ინჟინრებისა და მენეჯერების გუნდის შემადგენლობაში წარმოების, მარკეტინგისდა სხვა მიმართულებებით. საინვესტიციო გადაწყვეტილებების უმეტესობა უფრო მცირე და მარტივია, მაგალითად, სატვირთო მანქანის, აპარატურისა თუ კომპიუტერული სისტემის შეძენა. კორპორაციის მენეჯერები ყოველწლიურად იღებენ ათასობით მცირე საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

დაფინანსების გადაწყვეტილებები მოიცავს არა მხოლოდ ფულადი სახსრების ზრდას, არამედ ბანკების, ობლიგაციების მფლობელებისა და აქციონერების მიმართ ვალდებულებების შესრულებას. ასე რომ, კორპორაციამ უნდა დაფაროს დავალიანება და შეასრულოს აღებული ვალდებულებები, როდესაც მათი დაფარვის დრო დადგება. თუ კორპორაცია ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას და ვალდებულებების შესრულებას, მაშინ იგი წყვეტს ფუნქციონირებას და თავს აცხადებს გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად.

კორპორაციას ფულადი სახსრების მოზიდვა შეუძლია გამსესხებლისგან ან აქციონერებისგან. ფულადი სახსრების მოზიდვის საუკეთესო გზის შერჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ფინანსური მენეჯერი. ამისათვის ის კარგად უნდა ერკვეოდეს იმ პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია მოკლევადიანი კრედიტების მიღებასთან, აქტივების იჯარასთან დაკავშირებულ ხელშეკრულების გაფორმებასთან, ასევე აქციების და ობლიგაციების გამოშვებასთან.

ფინანსურმა მენეჯერმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება - როგორ დააფინანსოს კომპანია. კონკრეტულად, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის როგორი კომბინაცია უნდა გამოიყენოს, როგორი ტიპის - სავალო და საკუთარი კაპიტალის - ფასიანი

ქალაქი უნდა გამოუშვას, ასევე, გაუნაწილებელი მოგების რა ნაწილი უნდა დარჩეს კომპანიაში (რეინვესტირება) და რა ნაწილი გაიცეს დივიდენდის სახით.

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ზოგიერთი კომპანიებისთვის დამახასიათებელია სავალაო დაფინანსება დიდი ოდენობის თანხებით. ამ შემთხვევაში აქვს თუ არა მნიშვნელობა დაფინანსების სახეობას? და თუ აქვს რატომ? და უნდა ჩაითვალოს თუ არა ოპტიმალურად დაფინანსების სხვადასხვა სახეობის გამოყენება? ამ ფინანსური გადაწყვეტილებების პირობებში, საპროცენტო განაკვეთების საერთო დონე ეკონომიკაში, კომპანიის ოპერაციების რისკი და კაპიტალის ბაზრებზე ინვესტორების დამოკიდებულება რისკისადმი განსაზღვრავს იმ უკუგების ნორმას, რომელიც დააკმაყოფილებს კომპანიის ინვესტორებს. ეს არის უკუგება ინვესტორების პოზიციიდან, მაგრამ კომპანიის პოზიციიდან ეს დანახარჯია. ამიტომ მას ჰქვია *კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC)*.

როდესაც ფულადი სახსრების მოზიდვა ხდება გამსესხებლებისგან, მაშინ კორპორაციამ უნდა დაფაროს დავალიანება და დამატებით საპროცენტო განაკვეთი. თუ კორპორაცია ფინანსდება აქციონერების კაპიტალით, ისინი არ იღებენ ფიქსირებულ ანაზღაურებას, მაგრამ ფლობენ აქციებს და, შესაბამისად, იღებენ მომავალი მოგებისა და ფულადი ნაკადის ნაწილს. აქციონერები არიან მეწილეები, რომლებიც მონაწილეობენ კაპიტალის დაფინანსებაში. არჩევანს ნასესხები და საკუთარი კაპიტალით დაფინანსებას შორის კაპიტალის სტრუქტურის გადაწყვეტილებას უწოდებენ.

რა არის კორპორაცია?

კორპორაცია იურიდიული წარმონაქმნია, რომელიც გამიჯნულია მისი მესაკუთრეებისაგან. კორპორაციის მფლობელები მისი აქციონერები არიან. ისინი იმიტომ ყიდულობენ კორპორაციის აქციებს, რომ მათ უნდათ სასურველი მოგება მიიღონ, მათ მიერ განხორციელებულ კაპიტალდაბანდებაზე აღებული რისკის სანაცვლოდ. კორპორაციის ძირითადი განსხვავება ბიზნესის ორგანიზაციის სხვა ფორმებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ის არსებობს მისი მესაკუთრეებისაგან დამოუკიდებლად. შეზღუდული პასუხისმგებლობა – მნიშვნელოვანი უპირატესობაა ინდივიდუალურ მეწარმეობასთან ან პარტნიორობასთან შედარებით. კორპორაციას უფლება აქვს თავისი სახელით მოიზიდოს კაპიტალი ფულადი ფორმით ისე, რომ არ

დააკისროს პასუხისმგებლობა თავის მესაკუთრეებს. მაშასადამე, კორპორაციისადმი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად შეუძლებელია აქციონერების პირადი ქონების კონფისკაცია. უფლება კორპორაციის საკუთრების ნაწილზე დასტურდება წილით სააქციო კაპიტალში, თანაც აქციების თითოეულ მფლობელს ეკუთვნის მისი ქონების ნაწილი, რომელიც შეესაბამება მათ საერთო მოცულობაში მისი აქციების წილს. ეს აქციები შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, რაც წარმოადგენს საკუთრების სააქციო ფორმის კიდევ ერთ უპირატესობას. აქციების ცალკეული მფლობელების გამოსვლის შემთხვევაში კორპორაცია აგრძელებს თავის საქმიანობას.

საკუთრების დაყოფა და მართვა

ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა იქნას მიღებული ბიზნესის დაწყების დროს ეხება საკუთრების ფორმას. სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო (ინდემეწარმე); პარტნიორობა; კორპორაცია.

ინდივიდუალური მეწარმე (ინდემეწარმე). ბიზნესის ფორმებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ბიზნესის ორგანიზაციის უძველესი ფორმაა და რომელსაც მართავს ერთი პირი მოგების მისაღების იზნით.

ინდემეწარმის უპირატესობები. ინდემეწარმეს რამდენიმე უპირატესობა გააჩნია ბიზნესის სხვა ფორმებთან შედარებით. არ არსებობს ფორმალური, ადგილობრივი და სამართლებრივი მოთხოვნები ამ ფორმით ბიზნესის ჩამოყალიბებისთვის. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესაძლებელია მოითხოვოს ლიცენზია საგადასახადო მიზნებისთვის, მაგრამ გადასახადი ძალიან მცირეა და შესაბამისი ფორმებიც მარტივი შესავსებია. ბიზნესის ქონება მფლობელის სახელზეა. ინდემეწარმე ბიზნესს ახორციელებს მარტო ან ოჯახის წევრების დახმარებით. ბიზნესი არ მოითხოვს რაიმე ფორმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ინდემეწარმის ნაკლოვანებები. ინდემეწარმეს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს. ბიზნესის კაპიტალის სტრუქტურა (ნასესხები და საკუთარი კაპიტალის კომბინაცია) შეზღუდულია იმიტომ, რომ მფლობელი დამოკიდებულია ინდივიდუალურ რესურსებზე ბიზნესის წარმართვისთვის. ბიზნესის ფინანსირება მთლიანად არის დამოკიდებული მფლობელის სიმდიდრეზე და მის საკრედიტო რეიტინგზე.

ინდემწარმეს გაუჭირდება სესხის აღება. დეტალური ბიზნეს-გეგმა და სესხის დაფარვის შესაძლებლობა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ბიზნესის მფლობელმა გადაწყვიტოს გარედან რესურსის მოზიდვა. ინდემწარმეს, ასევე, აქვს განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა. ბიზნესის ქონება მფლობელის სახელზეა. მფლობელი პასუხისმგებელია ბიზნესის ყველა ვალდებულებაზე და იგი კანონით იღებს პასუხისმგებლობას ბიზნესის ყველა პრობლემის წინაშე.

პარტიორობა ჩნდება მაშინ, როდესაც ორი ან მეტი პიროვნება უკავშირდება ერთმანეთს არა კორპორატიული ბიზნესის სამართავად. ძირითადად ორი სახის პარტიორობა არსებობს: ზოგადი პარტიორობა და შეზღუდული პარტიორობა.

ზოგად პარტიორობას ანუ შეზღუდავი პასუხისმგებლობის პარტიორობას მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ინდემწარმესთან შედარებით. იმის გამო, რომ მფლობელი ერთზე მეტია - უფრო მეტია ექსპერტული შეფასებებიც და მოსაზრებებიც. ხშირად, პარტიორობა ამ ექსპერტული შეფასებების არსებობის გამო იქმნება. პარტიორობის ერთ-ერთი წევრი შეიძლება იყოს ტექნიკური ცოდნის ადამიანი, ხოლო მეორეს არ ჰქონდეს ტექნიკური განათლება, მაგრამ დიდი გამოცდილება ჰქონდეს გაყიდვებში. პარტიორობის წევრები შესაძლებელია თანაბრად იყოფდნენ მართვის ფუნქციებს ან ინაწილებდნენ ფუნქციებს პარტიორობის ხელშეკრულების შესაბამისად. ამიტომ პარტიორობისათვის პარტიორობის არჩევა - მისი შექმნის საკმაოდ საპასუხისმგებლო ეტაპია.

ზოგად პარტიორობას, ასევე აქვს გარკვეული ნაკლოვანებები, რომლებიც ინდემწარმის ნაკლოვანებების მსგავსია. ყოველი პარტიორობის პერსონალურად არის პასუხისმგებელი პარტიორობის ქმედებაზე. ბიზნესის დაფინანსება შეზღუდულია ყოველი პარტიორობის აქტივებით და საკრედიტო რეიტინგით. მფლობელობის ტრანსფორმირება რთულია და მოგება იბეგრება თითოეული პარტიორობის საგადასახადო დეკლარაციაში დაფიქსირებით. უმეტეს შემთხვევებში ფორმალური შეთანხმება, ან შეთანხმება პარტიორობის შესახებ, განაპირობებს თითოეული პარტიორობის უფლებებს, მოგების განაწილებას, კაპიტალის სიდიდეს, რომლის ინვესტირებაც ხდება პარტიორობის მიერ, პარტიორობაში ახალი პარტიორობის მიღების პროცედურებს და ასევე პარტიორობას რეორგანიზაციის პროცედურებს რომელიმე პარტიორობის სიკვდილის ან მისგან გასვლის შემთხვევაში, თუ

პარტნიორულ ხელშეკრულებაში რაიმე კონკრეტული არ არის ჩაწერილი მფლობელობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

პარტნიორობას შეზღუდული აქვს სიცოცხლის ხანგძლივობა და იურიდიული თვალსაზრისით პარტნიორობა წყვეტს თავის არსებობას, თუ ერთ-ერთი პარტნიორი კვდება ან გამოდის პარტნიორობიდან, ამგვარ შემთხვევებში, როგორც წესი, სიტუაციის დარეგულირება უკავშირდება რიგი რთული პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას და ამიტომ, პარტნიორობას რეორგანიზაცია საკმაოდ რთულად მიმდინარეობს.

შეზღუდული პარტნიორობა შედგება ერთი ან ორი მთავარი პარტნიორის და სხვა რამდენიმე შეზღუდული პარტნიორისაგან. შეზღუდული წარმოიქმნება უძრავი ქონების ბაზრის განვითარების და ჰოლდინგების შექმნის დროს. ასეთ პარტნიორობაში მთავარი პარტნიორი პასუხისმგებელია ყოველდღიურ საქმიანობაზე და პიროვნულად არის პასუხისმგებელი პარტნიორობაზე. შეზღუდული პარტნიორები არიან ინვესტორები და მათი ვალდებულებები შეზღუდულია პარტნიორობაში მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით. თითოეულ მათგანს გააჩნია გარკვეული წილი პარტნიორობის მოგებაში, ან ზარალში პარტნიორობის შესახებ შეთანხმების პირობების შესაბამისად. პარტნიორებმა შეზღუდული პასუხისმგებლობით არ შეიძლება დაკარგონ იმაზე მეტი, ვიდრე დააბანდეს. ისინი არ არიან ჩართული ყოველდღიურ საქმიანობაში. ამის მიუხედავად, ასეთ პარტნიორობაში უნდა იყოს მინიმუმ ერთი პარტნიორი მაინც შეუზღუდავი პასუხისმგებლობით ან მთავარი პარტნიორი.

კორპორაციები. კორპორაცია (სააქციო საზოგადოება) წარმოადგენს კანონის მიხედვით შექმნილ „ხელოვნურ ობიექტს“. ის შეიძლება ფლობდეს აქტივებს და გარკვეულ ვალდებულებებს. კორპორაციის მფლობელობა ემყარება წილობრივ მონაწილეობას, ანუ აქციების ფლობას. აქციების ის რაოდენობა, რომელსაც ფლობს აქციონერი, გაყოფილი გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობაზე, განსაზღვრავს მფლობელობის პროცენტულ შემადგენლობას. არსებობს კორპორაციების ორი ტიპი: კერძო ან ჩაკეტილი და საჯარო. წარმოადგენს რა კანონის სუფთა წარმონაქმნს, კორპორაციას გააჩნია მხოლოდ ის თვისებები, რომელიც განსაზღვრულია წესდებაში კორპორაციის შექმნის შესახებ. კორპორაციის მფლობელობა ემყარება წილობრივ

მონაწილეობას, ანუ აქციების ფლობას. აქციებისის რაოდენობა, რომელსაც ფლობს აქციონერი, გაყოფილი გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობაზე, განსაზღვრავს მფლობელობის პროცენტულ შემადგენლობას.

კორპორაციის უპირატესობები. კორპორაციას მრავალი უპირატესობა გააჩნია. ბიზნესის ორგანიზების ამ ფორმის უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს ის, რომ კორპორაცია არსებობს იურიდიულად განცალკევებულად და მისი მფლობელისაგან გამოყოფილად. მფლობელის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საწესდებო კაპიტალში მისი დაბანდების ოდენობით. შეზღუდული პასუხისმგებლობა გამოდის კორპორაციის მნიშვნელოვან უპირატესობად ერთპიროვნულ ფლობასთან და პარტნიორობასთან შედარებით. კორპორაციას თითქმის შეუზღუდავად შეუძლია კაპიტალის მოზიდვა მის მფლობელებზე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე. როგორც უკვე ავლნიშნეთ, საკუთრების უფლების დამტკიცებას წარმოადგენს ჩვეულებრივი აქციები, რომლის ბრუნვა თავისუფლად ხდება საფონდო ბაზარზე, რაც წარმოადგენს ბიზნესის ორგანიზაციის კორპორაციული ფორმის კიდევ ერთ უპირატესობას. მას ასევე, შეუძლია ბანკებიდან თანხების სესხება, ან თანხების სესხება მოსახლეობისაგან ობლიგაციების გამოშვების გზით. რამდენადაც კორპორაცია არსებობს მფლობელისაგან განცალკევებულად, მისი სიცოცხლის ხანგძლივობა შეუზღუდავია, სანამ იგი არ წააწყდა ფინანსურ პრობლემებს და არ გაკოტრდა. კორპორაციას შეუძლია არსებობის გაგრძელება მას შემდეგაც კი თუ მისი რომელიმე მფლობელი მოკვდება ან გაყიდის თავის აქციებს. კორპორაციის მფლობელობა იცვლება მფლობელების მიერ აქციების გაყიდვით სხვებზე, ან გაჩუქებით.

მნიშვნელოვანი უპირატესობების წყალობით, რაც განპირობებულია მფლობელთა შეზღუდული იურიდიული პასუხისმგებლობის არსებობით, საკუთრების უფლებების ჩვეულებრივი აქციების გაყიდვის გზით გადაცემის ხელსაყრელობით, არსებობის შეუზღუდავი ხანგძლივობითა და კორპორაციის უნარით მოიზიდონ კაპიტალი მისი მფლობელისაგან დამოუკიდებლად, ბიზნესის ორგანიზაციის კორპორაციულმა ფორმამ, ბოლო ასწლეულის განმავლობაში, ყოველმხრივი გავრცელება ჰპოვა. კაპიტალის უდიდესი მოთხოვნილების გათვალისწინებით, რაც თან ახლავს ნებისმიერ განვითარებულ ეკონომიკას,

ერთპიროვნული საკუთრება და პარტნიორობა აღმოჩნდება ბიზნესის ორგანიზაციის არასაკმარისად ეფექტური ფორმები. ამავე დროს, ხდებოდა კორპორაციების, როგორც ყველაზე ეფექტური საორგანიზაციო ფორმის მიზანმიმართული განვითარება.

კორპორაციის ნაკლოვანებები. კორპორაციას ნაკლოვანებებიც აქვს. პირველ რიგში, ეს არის სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც მან უნდა დააკმაყოფილოს. ეს მოთხოვნები მოიცავს დამოუკიდებელი სააუდიტორო კომპანიის მიერ ჩატარებულ ყოველწლიურ გარე აუდიტს, რომელიც კორპორაციის ხარჯებს წარმოადგენს.

სხვა ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიას მრავალი მფლობელი ჰყავს. აქციონერები ირჩევენ დირექტორთა საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, ირჩევს მენეჯერებს საკვანძო პოზიციებზე. ამიტომ, მფლობელები განცალკევებულები არიან ბიზნესისაგან და აქვთ მცირე, ან სულაც არა აქვთ, კონტროლი ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობაზე. მფლობელი, ჩვეულებრივ, მცირე მონაწილეობას იღებს ბიზნესის წარმართვაში.

ფინანსური თვალსაზრისით, კორპორაციის ყველაზე დიდი ნაკლოვანება უკავშირდება მისი მოგების გადასახადით დაბეგვრის წესს, რამდენადაც კორპორაციული მოგება ექვემდებარება ორმაგ გადასახადით დაბეგვრას. კომპანია გადასახადს იხდის მის მიერ გამომუშავებულ მოგებაზე, ხოლო აქციონერი ასევე იბეგრება გადასახადით, როცა მოგებას ის იღებს ფულადი დივიდენდების ფორმით. ბიზნესის ორგანიზაციის კორპორაციული ფორმის ნაკლებად მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შორის შეიძლება დავასახელოთ დროის ხანგძლივობა, რომელიც საჭიროა კორპორაციის რეგისტრაციისათვის და ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი. ამგვარად, კორპორაციის დაფუძნება უფრო რთულია, ვიდრე ერთპიროვნული საკუთრების ან პარტნიორობის.

გადასახადები და დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
- ბ) მოგების გადასახადი;
- გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- დ) აქციზი;
- ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად **საგადასახადო პერიოდი** არის დროის მონაკვეთი, რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიხედვით. აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათის დაწესება და ცალკეული პირის გათავისუფლება გადასახადისაგან.

გადასახადის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის თანხის აღრიცხვასა და ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

გადასახადის დარიცხვის საფუძველია:

საგადასახადო დეკლარაცია/საბაჟო დეკლარაცია; ინფორმაცია შესაბამისად გადახდილი თანხების შესახებ; საგადასახადო შემოწმების აქტი;

გადასახადის გადახდის ვადა

გადასახადის, აგრეთვე გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადა დგინდება თითოეული გადასახადის მიხედვით. თუ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული არ არის გადასახადის გადახდის ვადა, მისი გადახდა ხორციელდება დეკლარაციის წარდგენისათვის დადგენილ ვადაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში.

გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის **ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი**, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. **საგადასახადო აგენტი** არის პირი, რომელმაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტი გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან.

საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა არის პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნა გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ, რომლის შესრულებაც სავალდებულოა საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ

შემთხვევებში და დადგენილი წესით. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველია გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) ზედმეტად გადახდილი თანხა. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა შესრულებულად ითვლება მოთხოვნილი თანხის გადახდის მომენტიდან.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირი;

ბ) არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური რეჟიმით და არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.

მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის

(ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) რეზიდენტი საწარმო;

ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. [„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით](#) განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტთან განაკვეთით. რეზიდენტი საწარმოს მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმება

დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია:

თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების (გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა) საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი

რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი. **დღ-ის განაკვეთი შეადგენს: დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს.**

აქციზის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე. აქციზი გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საგადასახადო კონტროლის სახეებია მიმდინარე კონტროლი და საგადასახადო შემოწმება. საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ან განმეორებით დაეკისროს პასუხისმგებლობა. რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სანქციას. **საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.** საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის. **საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05 პროცენტს** ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება.

საბანკო საქმე

კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა **ეკონომიკაში დანაზოგების სტიმულირება.** კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობაში არა მარტო მოიზიდავენ (აკუმულირებენ) ეკონომიკაში არსებულ დანაზოგებს, არამედ ახდენენ ახალი დანაზოგების სტიმულირებასაც. დანაზოგების სტიმულირებისა და ფულადი სახსრების დაზოგვის ფორმირება ხდება კომერციული ბანკის მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის მეშვეობით. ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებს ორი ფაქტორი:

მაღალი საპროცენტო განაკვეთები და უსაფრთხოების გარანტიები. მეანაბრეთა განწყობაზე, ანაბრების უსაფრთხოების თვალსაზრისით, დიდ გავლენას ახდენს ოფიციალური დეპოზიტების დაზღვევის სისტემები, რომელთა მდიდარი გამოცდილება აქვს დასავლეთის ქვეყნებს. აღნიშნული სისტემები დანერგულია ასევე თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც.

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვებისა და კაპიტალის მინიმალურ ოდენობასა და მათი შექმნის წესებს. *კომერციულ ბანკს ეკრძალება საწესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით, ასევე მას არ აქვს უფლება, შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით.* კანონმდებლობით დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები კომერციული ბანკების საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურაზე.

კომერციული ბანკის აქტივები - ესაა კომერციული ბანკის მიერ მოგების მიღებისა და ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით განთავსებული საკუთარი და მოზიდული სახსრები. მეორე მხრივ, ბანკის აქტივი - ესაა ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, რომელშიც აღირიცხება ფულად ფორმაში შეფასებული აქტიური ოპერაციებისაგან შექმნილი სხვადასხვა აქტივი.

ბანკის აქტივები საქართველოს საბანკო დაწესებულებების ანგარიშთა გეგმის მიხედვით

კლასი	აქტივები
10	სალარო. კომერციული ბანკების ანგარიშების ე-ში
11	ოქრო
12	სახელმწიფონსტიტუტებისათვის მიცემული სესხები
13	სახელმწიფო კონტროლს დაქვემდ. საწარმოებისათვის მიცემული სესხები
14	სახელმწიფოსავალოფასიანი ქაღალდები
15	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის
16	კორპორაციული სავალოფასიანი ქაღალდები
17	მოთხოვნები ბანკების მიმართ
18	კლიენტებისათვის მიცემული სესხები
19	ვადაგადაცილებული სესხები
20	ინვესტიციები შვილობილ და სხვა საწარმოებში
21	საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშები*
23	დანარჩენი ოპერაციები
24	მისაღები პროცენტები და დივიდენდები
25	დანარჩენი აქტივები

26	სავალუტოპოზიცია
27	გადავადებულისაგადასახადოაქტივი
28	ანგარიშსწორებაერთიბანკისდაწესებულებებსშორის
29	ძირითადისაშუალებებიდაარამატერიალურიაქტივები

* მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები

აქტიური ოპერაციების დაჯგუფება შეიძლება შემდეგ სახეობებად:

- ⌋ აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია ბანკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის (სახსრების განთავსება ფიქსირებულ აქტივებში);
- ⌋ აქტიური ოპერაციები, რომლებიც განკუთვნილია კლიენტების შეუფერხებლად მომსახურებისათვის (ლიკვიდური აქტივების, ანუ ფულადი სახსრების ფორმირება და მათი საკმარისი დონის შენარჩუნება, რათა კომერციულმა ბანკმა შეძლოს კლიენტების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურება);
- ⌋ შემოსავლების მომტანი აქტიური ოპერაციები (სახსრების განთავსება ფასიან ქაღალდებში, საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობა).

ზოგადად, ქვეყნის საბანკო სისტემის აქტივების და, მათ შორის, საკრედიტო პორტფელის მოცულობა, ასევე მათი მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლის დონე და დინამიკა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების კარგ ინდიკატორებად ითვლება.

კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების (იმავე სააქციო კაპიტალის) სტრუქტურა სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. დავახასიათოთ ისინი:

1. საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოცულობისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნა ეროვნული ბანკის მხრიდან (50 მლნ ლარი) განპირობებულია საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ, ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციით. საწესდებო კაპიტალის სტრუქტურაში შედის როგორც საემისიო კაპიტალი, ისე პრივილეგირებული აქციები.

2. კაპიტალის რეზერვები წარმოადგენს საკუთარი რესურსების უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც იქმნება კომერციული ბანკის მოგების ხარჯზე წლების განმავლობაში. აქ შედის აქტივების გადაფასების რეზერვი და სხვა სარეზერვო ფონდები. კაპიტალის რეზერვების, ანუ სარეზერვო ფონდების, ფორმირების მთავარ

წყაროს აქციონერთა მიერ წმინდა მოგების განაწილების შემდეგ ბანკის საკუთრებაში დატოვებული ფულადი სახსრები წარმოადგენს. სარეზერვო ფონდების გამოყენება („დახარჯვა“), როგორც წესი, ხდება აქციონერთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის ზარალის დასაფარავად, ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად და ა.შ.

3. გაუნაწილებელი მოგება საკუთარი სახსრების მესამე ძირითადი ელემენტია. ესაა ის მოგება, რომელიც კომერციულმა ბანკმა „დააგროვა“ წლის განმავლობაში და რომლის ბედი უნდა გადაწყდეს საანგარიშო წლის დამთავრებიდან 2-3 თვის განმავლობაში აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე აღნიშნული სახსრები რჩება ბანკის განკარგულებაში და წარმოადგენს მისი დამატებითი, უფასო რესურსების წყაროს. აქციონერთა საერთო კრების მიერ მიიღება გადაწყვეტილება წინა საანგარიშო წლის გაუნაწილებელი მოგების განაწილების შესახებ. საჭიროების მიხედვითმათი ნაწილი შეიძლება მიმართულ იქნეს გარკვეული ღონისძიების დასაფინანსებლად, სარეზერვო ფონდების გასაზრდელად ან დივიდენდების გასაცემად.

კომერციული ბანკის **პასიური ოპერაციების** საშუალებით ხდება იმ ფულადი სახსრების მოზიდვა, რომლებიც უკვე იმყოფებიან მიმოქცევაში. მათი მოზიდვის შემდეგ კი საბანკო სისტემაში ხდება ახალი რესურსების შექმნა აქტიური ოპერაციების შედეგად.

პასიური ოპერაციების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

1. დეპოზიტური სახსრების მოზიდვა;
2. არადეპოზიტური სახსრების მოზიდვა;
3. საკუთარი კაპიტალის ზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალიდან პირველი ორი (დეპოზიტური და არადეპოზიტური სახსრების ზრდა) ქმნიან კომერციული ბანკის მოზიდულ რესურსებს, ხოლო მესამე (კაპიტალის ზრდა) - საკუთარ სახსრებს. კომერციული ბანკის **მოზიდული რესურსების** ფორმირება, როგორც აღვნიშნეთ, ხდება დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციებით.

დეპოზიტური ოპერაციები, როგორც წესი, კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების ძირითადი სახეობაა. მათზე საქართველოს საბანკო სისტემის რესურსების 53% მოდის. თავის მხრივ, დეპოზიტები ორ ძირითად ჯგუფად - მოთხოვნამდე (უვადო) და ვადიან სახსრებად იყოფა.

არადეპოზიტური ოპერაციები კომერციული ბანკების რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა, რომლებიც გამოიყენება როგორც მოკლევადიანი რესურსების მისაღებად ლიკვიდობის მართვისათვის, ისე გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის მისაღებად. რაც შეეხება **საკუთარ სახსრებს**, იგი არის პასიური ოპერაციების განსაკუთრებული სახეობა. საკუთარი სახსრების სტრუქტურა არაერთგვაროვანია და მის შემადგენლობაში ძირითადია საწესდებო კაპიტალი, სარეზერვო ფონდები და გაუნაწილებელი მოგება.

კომერციული ბანკის ლიკვიდობა, ანუ მისი უნარი დროულად და სრული მოცულობით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ქმნის მისი ნორმალური ფუნქციონირების მყარ საფუძველს. საბანკო ლიკვიდობის მნიშვნელობა გამომდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებიდან:

1. საბანკო ლიკვიდობა უზრუნველყოფს კლიენტების მხრიდან ფულზე მოთხოვნას, რათა განახორციელონ გადახდები, ასევე მიიღონ კრედიტი;
2. საბანკო ლიკვიდობა პირდაპირ კავშირშია ბანკის იმიჯთან (რეპუტაციასთან) და სტაბილური ლიკვიდობა მას აძლევს კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების კარგ შანსებს.

ბანკის ლიკვიდობა განისაზღვრება მისი პასივებისა და აქტივების ვადების მიხედვით დაბალანსებით. რაც უფრო ახლოსაა ვადების მიხედვით დაჯგუფებული პასივებისა და აქტივების მოცულობები ერთმანეთთან (მაგალითად, მოთხოვნამდე, ერთკვირიანი, ერთთვიანი და ა.შ.), მით უფრო ლიკვიდურია ბანკი.

ბანკის სხვადასხვა აქტივი ლიკვიდობის განსხვავებული ხარისხით გამოირჩევა, და რაც მეტია მისი ხარისხი, მით მეტია შესაძლებლობა, გარდაიქმნას თავის ღირებულებად ფულად ფორმაში და მინიმალური დანაკარგებით. საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი რეგულაციის საჭიროებისათვის უფრო მკაცრად განმარტავს

ლიკვიდურ აქტივებს, რომლის მიხედვითაც, ესაა „ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა“.

ქართული რეგულაციით ლიკვიდურ აქტივებში, გარდა ფულადი სახსრებისა(ნაღდი და უნაღდო), შედის მხოლოდ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. რატომ უნდა, ნებისმიერი აქტივი შეიძლება იქცეს ფულად, უბრალოდ საუბარია,რამდენად სწრაფად და დანაკარგების გარეშე ეს შესაძლებელი.

ქართული საბანკო რეგულაციით ასევე ცნობილია **მიმდინარე აქტივები**, ანუ დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები. გავანალიზოთ ლიკვიდური აქტივების სამი სახეობა:

- 1) **მყისიერი ლიკვიდური აქტივები**, ანუ ფულადი სახსრები და ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა (საქართველოში არსებული პრაქტიკით -ესაა ნაღდი ფული, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე, ბანკებში განთავსებული დეპოზიტები და სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები);
- 2) **მიმდინარე ლიკვიდური აქტივები** - ესაა ის აქტივები, რომელთა დაფარვის (დაბრუნების) ვადა არის 30 დღემდე (გაცემული სესხები და სხვა განთავსებული სახსრები, რომელთა დაფარვამდე დარჩენილია 30 დღემდე);
- 3) **გრძელვადიანი ლიკვიდობის სახსრები**, ანუ ის აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 30 დღეს.

კომერციული ბანკების ხარჯები ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მისი შემოსავლები და მათი კლასიფიკაცია სხვადასხვაგვარად ხდება, თუმცა, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციით გვაქვს სამი ძირითადი ხარჯი, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვესახეობად იყოფა:

პროცენტული ხარჯები:

- 1) პროცენტული ხარჯები არასაბანკო დეპოზიტებზე;
- 2) პროცენტული ხარჯები საბანკო დეპოზიტებზე;
- 3) პროცენტული ხარჯები სხვა ნასესხებ სახსრებზე;
- 4) სხვა პროცენტული ხარჯები.

არაპროცენტული ხარჯები:

- ⌋ საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული არაპროცენტული ხარჯები;
- ⌋ აპარატის შენახვის ხარჯები;
- ⌋ საექსპლოატაციო ხარჯები;
- ⌋ სხვა არაპროცენტული ხარჯები.

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ხარჯები:

- ⌋ სესხების რეზერვები;
- ⌋ ფასიანი ქაღალდების რეზერვები;
- ⌋ სხვა აქტივების რეზერვები.

საბანკო პრაქტიკაში ბანკის რენტაბელობის შეფასების ყველაზე მეტად გავრცელებულ კოეფიციენტებს წარმოადგენენ **საპროცენტო მარჟა (სპრედი)** და **CIR(Cost/Income Ratio)**. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

K საპროცენტო მარჟა (სპრედი) = შასშსგ - ხპსშსგ,

სადაც: **შასშსგ**- შემოსავლიანი აქტივების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, ანუ „მუშა“ აქტივების საშუალო შეწონილი ფასი;

ხპსშსგ- ხარჯიანი პასივების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, ანუ ბანკის მიერ მოზიდული რესურსების საშუალო შეწონილი ფასი.

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს სხვაობას ორ ფასს შორის, ერთი ლარის რესურსის მოზიდვის საშუალო ფასსა და ამ რესურსის განთავსების ფასს შორის. ეს მაჩვენებელი ახლოსაა წმინდა საპროცენტო მარჟასთან, თუმცა, განსხვავებულ სურათს იძლევა.

CIR(Cost/Income Ratio)=სხ + წსშ +წაშ,

სადაც: **სხ** - საოპერაციო ხარჯები, ანუ ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არაა დაკავშირებული საბანკო ოპერაციების ჩატარებასთან. აქ შედის პერსონალის ხარჯი, საექსპლოატაციო და სხვა არაპროცენტული ხარჯები;

წსშ - წმინდა საპროცენტო შემოსავალი, ანუ სხვაობა პროცენტულ შემოსავლებსა და პროცენტულ ხარჯებს შორის;

წამ - წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი, ანუ სხვაობა არაპროცენტულ შემოსავლებსა და ამ ოპერაციების ჩატარებისას გაწეულ საკომისიო და სხვა ხარჯებს შორის.

ტიპური **სადეპოზიტო პროდუქტები**, რომელთა შეთავაზება ხდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ, იყოფა ორ მთავარ ნაწილად: უვადო ანგარიშები და ვადიანი ანგარიშები.

უვადო ანგარიშებში შედის მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე და შემნახველი დეპოზიტები:

1) **მიმდინარე ანგარიშებით** სარგებლობენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, თუმცა, ისინი მაინც იურიდიული პირების ანგარიშებად „ითვლება“, ვინაიდან მათი მეშვეობით ახდენენ ბიზნესსაქმიანობის წარმართვას. ეს არის კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელიც იხსნება უვადოდ და გამოიყენება საბანკო ოპერაციების საწარმოებლად, როგორებიცაა: თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა, ჩარიცხვა და კონვერტაცია. როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშებზე არ ხდება ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა, თავიანთი არასტაბილურობიდან გამომდინარე, თუმცა, კორპორაციულ კლიენტებთან დაკავშირებით ბანკები დიდ დათმობებზე მიდიან და მათ მიმდინარე ანგარიშებზე ან მის შეუმცირებად ნაშთზე ხდება საკმაოდ მაღალი პროცენტის დარიცხვა. რა თქმა უნდა, აღნიშნული მოტივირებულია კომერციული ბანკების ინტერესებით, ვინაიდან კორპორაციული კლიენტების რესურსების გარდა. ეძლევათ მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა, შესთავაზონ მათ სხვა პროდუქტები (ბიზნესსესხები, დოკუმენტური ოპერაციები, ინკასაცია, პლასტიკური ბარათები, ოვერდრატფები, სამომხმარებლო სესხები თანამშრომლებისათვის და ა.შ.).

2) **მოთხოვნამდე დეპოზიტი** იძლევა დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობას. მასზე თანხის შეტანა და გატანა არ არის შეზღუდული და არ ითვალისწინებს თავდაპირველ მინიმალურ ოდენობას. მოთხოვნამდე დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელი ერიცხება, მაგრამ იგი ნაკლებია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით.

ქ) **შემნახველი დეპოზიტები** არის უვადო სახეობის დეპოზიტი, რომელსაც ერიცხება გარკვეული საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნამდე დეპოზიტისაგან განსხვავებით, შემნახველი ანაბარის გახსნის მოთხოვნაა მინიმალური პირველადი შენატანი.

დაკრედიტების პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია დაკრედიტების ობიექტი. **დაკრედიტების ობიექტში** იგულისხმება კრედიტის მიზანი, რომლის დასაკმაყოფილებლადაც გაიცემა კრედიტი. თითოეული კომერციული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს დაკრედიტების ობიექტების ჩამონათვალს, რაც, როგორც წესი, აისახება მის საკრედიტო პოლიტიკასა და სხვადასხვა შიდა ნორმატიულ დოკუმენტში. ბუნებრივია, დაკრედიტების სუბიექტის მიხედვით, დაკრედიტების ობიექტები განსხვავებულია, თუმცა, განზოგადებული სახით მაინც შესაძლებელია მათი ჩამოყალიბება:

- ქ) საინვესტიციო პროექტები(უძრავი ქონების შექმნა, ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია);
- ქ) საბრუნავი საშუალებების შევსება;
- ქ) საანგარიშსწორებო სახსრების უკმარისობა;
- ქ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები;
- ქ) სახელფასო დავალიანება;
- ქ) კრედიტორული დავალიანება;
- ქ) სამომხმარებლო მოთხოვნები.

საბანკო პრაქტიკაში ცნობილია **კრედიტის დაფარვის ორი წყარო: პირველადი და მეორადი:**

კრედიტის დაფარვის პირველადი წყარო - ესაა ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან ან მომსახურების გაწევა იურიდიული პირის შემთხვევაში და ხელფასი და სხვა შემოსავლები - ფიზიკური პირის შემთხვევაში. საბანკო საქმის ოქროს წესია, რომ კრედიტი გაიცეს მხოლოდ მისი დაფარვის პირველადი წყაროს არსებობისა და მსესხებლის მხრიდან მათი დადასტურების შემთხვევაში. ამიტომ, მსესხებლის საკრედიტო განაცხადის შესწავლისას ყურადღება მახვილდება ფულადი ნაკადების ანალიზზე. თუკი კომერციულ ბანკს უჩნდება ეჭვი, მსესხებლის ფულადი

ნაკადების პერსპექტივასთან, ანუ კრედიტის დაფარვის პირველად წყაროსთან დაკავშირებით, იგი უარს ამბობს მის დაფინანსებაზე. კრედიტის დაფარვის პირველადი წყაროს არსებობისა და მისი დადასტურების შემთხვევაში კი, როგორც წესი, ბანკს შეუძლია მოითხოვოს მსესხებლისაგან კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო. კრედიტის დაფარვის მეორად წყაროდ განიხილება ყველა საშუალება, რაც კი მოქმედი კანონმდებლობით არის შესაძლებელი.

კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო გვევლინება გარანტად იმისა, რომ ბანკმა შეძლოს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაკმაყოფილება კრედიტის დაფარვის პირველადი წყაროს შეწყვეტის ან შემცირების შემთხვევაში. კრედიტის დაფარვის მეორადი წყარო შეიძლება იყოს მსესხებლის კუთვნილი ქონების რეალიზაცია, თავდებისა და გარანტორის სახსრები, ასევე სადაზღვევო კომპანიის ანაზღაურება. კრედიტის დაფარვის მეორადმა წყარომ უნდა უზრუნველყოს არა მარტო კრედიტის ძირითადი თანხის, არამედ გადაუხდელი პროცენტებისა და პირგასამტეხლოს დაფარვა და მისი რეალიზაციისას კრედიტორს ენიჭება უპირატესი უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით, რათა დაიკმაყოფილოს მსესხებლის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებები.

კომერციული ბანკები სესხებს გასცემენ მხოლოდ მსესხებლის/ფიზიკური და იურიდიული პირების/ გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. იურიდიული პირის ფინანსური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ელემენტია **ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი (Cash Flow)**, რომელიც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მისი კრედიტუნარიანობა ბიზნესის ლიკვიდობის თვალსაზრისით. ბანკის მხრიდან კომპანიის ფულადი ნაკადების ანალიზი და შემდეგ მისი პროგნოზირების მთავარი შედეგია, დადგინდეს ფულადი სახსრების არსებობა გარკვეულ პერიოდებში. **Cash Flow**-ს შედგენისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ რეალური ნაღდი და უნაღდო ფულის შემოსვლა და გასვლა (ანუ აქ არ შედის დარიცხული შემოსავლები და ხარჯები). ფულადი ნაკადი არის იმ ფულადი სახსრების მოცულობა, რომელსაც იღებს და გასცემს (იხდის) კომპანია საანგარიშსწორებო და გეგმურ პერიოდში. ფულადი ნაკადების ანალიზი ნიშნავს კომპანიის შემოსულობებისა და გასავლების შედარებას. შემოსულობებისა და გასავლების ელემენტები მოცემულია ცხრილში № 1:

ცხრ. №1. ფულადი ნაკადების ანალიზი (Cash Flow)

№	შემოსულობები (+)	№	გასავლები (-)
1	შემოსულობები რეალიზაციიდან	8	დაბანდებები საბრუნავ საშუალებებში
2	სხვა შემოსავლები ბიზნესიდან	9	დაბანდებები ძირითად საშუალებებში
3	დებიტორული დავალიანების შემცირება	10	კრედიტორული დავალიანების შემცირება
4	კრედიტორული დავალიანების ზრდა	11	პროცენტებისა და დივიდენდების გადახდა
5	კრედიტის აღება	12	გადასახადებისა და ჯარიმების გადახდა
6	სააქციო კაპიტალის ზრდა	13	კრედიტების დაფარვა
7	სხვა შემოსულობები	14	სხვა საწარმოო ხარჯები
		15	სხვა გასავლები
	სულ შემოსულობები		სულ გასავლები

ფულადი ნაკადების ანალიზი ხდება შემდეგი გზით:

ნაშთი პერიოდის დასაწყისში + შემოსულობები პერიოდში - გასავლები პერიოდში = ნაშთი პერიოდის ბოლოს.

როგორც წესი, ბანკის მიერ ანალიზისათვის აიღება მინიმუმ წინა სამი თვის მონაცემები, ასევე კონკრეტული პროექტის ბიზნესგეგმით გათვალისწინებული მომავალი პერიოდების საპროგნოზო მაჩვენებლები. პოტენციური მსესხებლის ფულადი ნაკადების ანალიზი კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს, შეექმნას წარმოდგენა შემდეგი მიმართულებებით:

- 1) რამდენად კრედიტუნარიანია (ფინანსურად მდგრადია) კომპანია;
- 2) რომელი სუსტი წერტილებია კომპანიის ეფექტიან მენეჯმენტში (მარაგების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების, გადახდებისა და სხვათა მართვაში). ფულადი ნაკადების გასული პერიოდის შედეგების მიხედვით ანალიზის შემდეგ ბანკი ახდენს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მაჩვენებლების გამოყვანას წარმოდგენილი ბიზნესპროექტისა და გასაცემი კრედიტის გავლენების გათვალისწინებით.

საბანკო სფერო მრავალი რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. მათ შორის უაღრესად საყურადღებოა ლიკვიდობის რისკი. **ლიკვიდობის რისკი** არის ბანკის რისკი, გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

- ⌋ **საბაზრო ლიკვიდობის რისკი**, კერძოდ, რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო, ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით;
- ⌋ **დაფინანსების ლიკვიდობის რისკი**, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან. ლიკვიდობის რისკი კომერციულ ბანკს შეიძლება წარმოემყვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობით, როგორებიცაა: კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და სხვ. ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არა მარტო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

თანამედროვე საბანკო პროდუქტებს შორის ყველაზე გავრცელებულია **ოპერაციები საბანკო პლასტიკური ბარათებით**. *არსებობს სადებეტო და საკრედიტო ბარათები:*

- ⌋ **სადებეტო ბარათი** - ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, განკარგოს თავის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე ისარგებლოს ოვერდრაფტით;
- ⌋ **საკრედიტო ბარათი** - ბარათი, რომელიც ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს, ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

სადაზღვევო საქმე

„საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ“ განმარტავს:

- ა) **დაზღვევა** – ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას;
- ბ) **სადაზღვევო საქმიანობა** – მზღვეველის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან;

- გ) **მზღვეველი** – სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც დაზღვევის შესახებ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია;
- დ) **დამზღვევი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან;
- ე) **დაზღვეული** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- ვ) **მოსარგებლე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;
- ზ) **დაზღვევის აგენტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- თ) **სადაზღვევო ბროკერი** – ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეს;
- ი) **სადაზღვევო რისკი** – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;
- კ) **სადაზღვევო შემთხვევა** – მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას;
- ლ) **სადაზღვევო პოლისი** – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;
- მ) **გადაზღვევა** – ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან

დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის.

დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. დაზღვევის სახეებია: პირადი, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევა; დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან, (პირადი დაზღვევა); დაზღვევა დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა); დაზღვევა დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით

ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით. **სავალდებულო დაზღვევა** არის დაზღვევის ისეთი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ. **ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევას** ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია. **სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას** ახორციელებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

„დაზღვევის“ შესახებ კანონის მიხედვით მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე მზღვეველის კაპიტალის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური დაზღვევის სახეობებისა და დაზღვევის ფორმების მიხედვით. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიას გაცემს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, „ლიცენზიებისა და

ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, [\(მუხლი 22. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირება\)](#)). სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირზე. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა ა) სიცოცხლის დაზღვევაზე; ბ) დაზღვევაზე (არა სიცოცხლის) და გადაზღვევაზე. მზღვეველი ვალდებულია ლიცენზიის მიღების თარიღიდან **ექვსი თვის** ვადაში გამოიყენოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა **განუსაზღვრელი ვადით**. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა კონკრეტულ მზღვეველზე და მისი სხვა იურიდიული პირისათვის გადაცემა დაუშვებელია. ლიცენზირებას არ საჭიროებს დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის საქმიანობა, აგრეთვე სადაზღვევო რისკის, ზარალის მოცულობისა და შემთხვევის უტყუარობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობა, დაზღვევის სფეროში საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, თბ., 2021
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2020
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბ., 1997
4. ბარბაქაძე ხ. კორპორაციათა ფინანსები (ლექციების კურსი), თბ., 2020
5. ბარბაქაძე ხ., ასლანიშვილი დ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი (ლექციების კურსი), თბ., 2021
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014
4. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე (ლექციების კურსი), თბ., 2021
5. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, თბ., 2016
9. ჩიკვილაძე მ., კაკაშვილი ნ. საგადასახადო საქმე (ლექციების კურსი), თბ., 2021

10. ჩუთლაშვილი ა., ბარბაქაძე ხ. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები (ლექციების კურსი), თბ., 2016

11. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. სადაზღვევო საქმე, თბ., 2016